



























42,ანა პოლიტკოვსკაიას ქ. საქართველო,0186 თბილისი
შპს ახალი ქსელები ს/კ 211326732
11 00 00
info@ak.ge

ახალი ქსელები

01.05.2024
N24-557/ე.ფ

შპს „ტასჰაბი“-ს დირექტორს
ბ-ნ სერგო გიორგაიას
ტელ: 598 421 214
ელ. ფოსტა: a.bliadze@tashub.ge

თქვენი 25.04.2024 წლის განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ მითითებულ მისამართზე, ქ. თბილისი, ქუჩა იუმაშევი, არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.26.004.223) არ გადის შპს „ახალი ქსელები’’-ს ხაზოვანი ნაგებობა.

დანართი: 1) შეთანხმებული გეგმა.

პატივისცემით,

პროექტირების სამსახურის უფროსი ნიკოლოზ გელიაშვილი

საამშრო/სტამბა

დამკვეთი

სიტუაციური სქემა



ტექნიკური-ეკონომიკური მაჩვენებლები

შენიშვნები:

* ნახაზი შესრულებულია მილიმეტრებში
* ნახაზზე მოცემულია არქიტექტურული და კონსტრუქციული ნიშნულები

კორექციის აღნიშვნები

საპროექტო ორგანიზაცია

შ.პ.ს "არქი-სტილი"

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
მთ.არქიტექტორი	ხ. მალაქაქიძე	
არქიტექტორი	ხ. მალაქაქიძე	
არქიტექტორი		
არქიტექტორი		
აროექტ. მენეჯერი		

ნახაზის სახელი

გენგეგმა ინტერნეტი

შეკვეთის ნომერი

ფორმატი	მასშტაბი
A3	
თარიღი	რევიზია №

N
01.19.26.004.270
01.19.26.004.269
01.19.26.004.206
01.19.26.004.152
01.19.26.004.224
01.19.26.004.032
01.19.26.004.197
01.19.26.004.177
01.19.26.004.201
4974500.00
4614250.00
4614150.00
4974500.00
ნანგრევი
ნანგრევი
სილქნეტის ხაზობრივი ნაგებობა
ს.კ (01.00.324)
ს.მილგამტარი საკანალიზაციო ხაზი
ს.კ (01.00.385)
ს.მილგამტარი საკანალიზაციო ხაზი
ს.კ (01.00.385)
ელექტრული ქსელის ბოძი
ელექტრული ქსელის ბოძი
ელექტრული ქსელის ბოძი

თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-26320-24
15 / 05 / 2024

შპს „ტასჰაბი"-ს დირექტორს
სერგო გიორგაიას

ბატონო სერგო,

თქვენი მიმდინარე წლის 26 აპრილის №02-13-26320-24 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქალაქი თბილისი, იუმაშევის ქუჩაზე (საკ. კოდი №01.19.26.004.223) დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებს და გენგეგმის დამოწმებას გაცნობებთ, რომ საკადასტრო ერთეულზე გადის შპს „თბილისი ენერჯის" კუთვნილი საჰაერო **D=80 მმ-იანი, D=150 მმ-იანი** და მიწისქვეშა **D=150 მმ-იანი** საშუალო წნევის გაზსადენები. კომპანია შეითანხმებს სამშენებლო სამუშაოებს თქვენი მხრიდან შემდეგი პირობების შესრულების შემდგომ:

- აუცილებელია ნაკვეთზე არსებული საჰაერო **D=80 მმ-იანი** და **D=150 მმ-იანი** საშუალო წნევის მილსადენების საექსპლუატაციო ზონა დაიტვირთოს სერვიტუტით შპს „თბილისი ენერჯი"-ს სასარგებლოდ გაზსადენის ღერძიდან ორივე მხარეს **1 (ერთი)** მეტრის მანძილზე;
- მიწის ნაკვეთზე მდებარე მიწისქვეშა **D=150 მმ-იანი** საშუალო წნევის გაზსადენის საექსპლუატაციო ზონა დაიტვირთოს სერვიტუტით შპს „თბილისი ენერჯი"-ს სასარგებლოდ გაზსადენის ღერძიდან ორივე მხარეს **2 (ორი)** მეტრის მანძილზე, რაზედაც უნდა მოგვმართოთ შესაბამისი განაცხადით, რის შემდგომ ჩვენს წარმომადგენელთან შეთანხმებით გაფორმდება ხელშეკრულება საჯარო რეესტრში;
- მანძილი მიწისქვეშა **D=150 მმ-იანი** საშუალო წნევის გაზსადენის ღერძიდან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის საძირკვლამდე განისაზღვროს არანაკლებ **4 (ოთხი)** მეტრით საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანების - „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების" წესების შესაბამისად;

რაც შეეხება გენგეგმას გაცნობებთ, რომ სერვიტუტთან დაკავშირებული პროცედურების გავლის შემდგომ უნდა წარმოადგინოთ ასაშენებელი ობიექტის ელექტრონული გენგეგმა DWG-ფაილის სახით UTM-WGS-1984 წლის პროექციაში, ასევე დეტალური PDF-ვერსია 1:500 მასშტაბით, სადაც დატანილი იქნება პირობითი აღნიშვნები, შემსრულებლის ხელმოწერა და ბეჭედი, კომპანიის გაზსადენი, უსაფრთხოების ზონების დაცვის გათვალისწინებით (მათ შორის სერვიტუტის მონიშვნით).

წარმოგიდგენთ აღნიშნულ ტერიტორიაზე გაზსადენების განლაგების სქემატურ ნახაზს.

დანართ: სქემატური ნახაზი - 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში


1:1,000
D= 150
D= 80
D= 150
პირობითი აღნიშვნები
შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა გაზსადენი
შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისზედა გაზსადენი
4 მეტრიანი შეზღუდვის ზონა
მიწის ნაკვეთი ს/კ 01.19.26.004.223
თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY

შპს "მაგთიკომი"
№ ED-24/05/01-011
01-05-2024 წ.

მაგთიკომი
MAGTICOM

შპს ,,ტასჰაბი''-ს დირექტორს
ბატონ სერგო გიორგაიას
(ს/ნ 406265410)

ბატონო სერგო,

თქვენი 2024 წლის 25 და 26 აპრილის წერილების პასუხად გაცნობებთ, რომ წერილებში მოცემულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, იუმაშევის ქ. ს.კ. 01.19.26.004.224, ქ. თბილისი, მუხრანის ქ. #9ბ, ს.კ. 01.12.09.003.011) არ გადის შპს „მაგთიკომის“ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა და არ ვართ წინააღმდეგი შესრულდეს დაგეგმილი სამუშაოები.

შემსრულებელი: ზვიად ოქროპირიძე. ტ: 500 501 501

პატივისცემით

მთავარი ადმინისტრაციული ოფიცერი

/ნოდარ ბაღათურია/

Classification: MAGTICOM Confidential


01.19.26.004.269
01.19.26.004.270
01.19.26.004.206
01.19.26.004.152
01.19.26.004.224
01.19.26.004.032
01.19.26.004.197
01.19.26.004.197
004.177
004.201
ნანგრევი
ნანგრევი
N
მაგთიკომი
MAGTICOM
შეთანხმებულია
შპს „მაგთიკომთან
სამუშაოების დაწყების წინ
გამოიძახეთ ჩვენი
წარმომადგენელი. ტელ:
პროექ. ტექ/სამსახური
202 წელი
ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N: 7
A. Politkovskaya St. N: 7
3011

სილქნეტი
SILKNET

№ 2663/24-8 "13" 05 2024

შპს „ტასჰაბი“-ს დირექტორს
ბატონ სერგო გიორგაიას
ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ს. წინუბანი, მერი მდივანის ქ. #2
ტელ: 558503032

ბატონო სერგო,

თქვენგან შემოსული წერილის (#8-4061; 26/04/2024წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, იუმაშევის ქუჩაზე, მიწის ნაკვეთზე ს. კოდით 01.19.26.004.223 გადის სს „სილქნეტის“ საჰაერო კომუნიკაციები, რომელსაც გაწვდით თანდართულ CD დისკზე შეიპ ფაილის ფორმატში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად სს „სილქნეტის“ საჰაერო კომუნიკაცია და საპროექტო შენობები არ მოდის კვეთაში ერთმანეთთან. სს „სილქნეტი“ არ არის წინააღმდეგი აწარმოონ მშენებლობა წარმოდგენილ დოკუმენტაციაში საპროექტო შენობების ადგილის გათვალისწინებით და ქვემოთ მოცემული პირობების სრული დაცით.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ნაკვეთზე სამუშაოების წარმოებისას სს „სილქნეტის“ კუთვნილ ნებისმიერი სახის კომუნიკაციას დაემუქრება დაზიანების საფრთხე, განმცხადებელი(სამუშაოების მწარმოებელი) ვალდებულია:

დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;

აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს „სილქნეტი“-ს წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის(Info.Center@silknet.com) ან ოპერატიული სამსახურის ნომრებზე: 2950029 ან 2932740.

სამშენებლო მოედნის მოწყობის შემთხვევაში სს „სილქნეტის“ წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ 24 საათიანი დაშვება კუთვნილ კომუნიკაციებთან.

ხაზობრივი ნაგებობის დაზიანების შემთხვევაში დაგეკისრებათ ზარალის ანაზღაურების ვალდებულება.

პატივისცემით

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
ირაკლი აბაშიძე



სს "სილქნეტი"
შეთანხმებულია
სამუშაოს დაწყების წინ გამოძახებულ იქნას
სს "სილქნეტის" წარმომადგენელი
ოპერატიული მართვა: 2 95 00 29, 2 93 27 40
ტექნიკური განყოფილება
თარიღი 1.05.24

საამქრო/სტამბა
შ.პ.ს "არქი-სტილი"
გენგეგმა ინტერნეტი
A3

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-01241173548**
თარიღი: **26/04/2024**

ადრესატი: შპს ტასჰაბი
საიდენტიფიგაციო ნომერი: 406265410
მისამართი: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, ს. წინუბანი, მერი მდივანის ქ., N 2

შ.პ.ს"თბილსერვის ჯგუფში" შემოსული თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში რიცხულ მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია: (01.19.26.004.223) გარე განათების ხაზობრივი ნაგებობა (01.00.264) არ ფიქსირდება (გარე განათების ხაზობრივი ნაგებობა განთავსებულია ნაკვეთის საზღვრის გარეთ). აქედან გამომდინარე შ.პ.ს. "თბილსერვის ჯგუფი"-ს გარე განათების სამსახური წინააღმდეგი არ არის აწარმოოთ პროექტით დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები. შეთანხმებული გენ გეგმა იხ. დანართის სახით.
დანართი:1 ფურცელი.

ვეფხვია ბაძაღუა

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-დირექტორის მოადგილე
(გარე განათების დარგში)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



საამშრომლო/სტადია

დამკვეთი

ობიექტისთვის სქემა



რეგიონალიზაციული მიმდინარეობა

შენიშვნები:
- ნახაზი შესრულებულია ციფრობრივად
- ნახაზის ინფორმაცია არქიტექტურული და კონსტრუქციული ცვლილებები

პირობითი აღნიშვნები

საპროექტო ორგანიზაცია

შ.პ.ს "არქი-სტილი"

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
მთავარი არქიტექტორი	ს. ბალდავაძე	
არქიტექტორი	ს. ბალდავაძე	
არქიტექტორი		
არქიტექტორი		
ტოპოგრ. გეოდეზიი		

ნახაზის სახელი

გენგეგმა ელმომარაგება

შეთანხმების ნიშნები

ფორმატი	მასშტაბი
A3	
თარიღი	ნახაზის №

№ 06Z4-0946584 D 08.05.2024

შპს „ტასჰაბი“
ელ-ფოსტა: a.bliadze@tashub.ge
ტელეფონი: 558 50 30 32

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება დარეგისტრირებული IN24-0943284, დათარიღებული 26/04/2024წ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.19.26.004.223) მშენებლობის გენ. გეგმის შეთანხმების შესახებ.

გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ გაედინება „კომპანიის“ ბალანსზე რიცხული წყალსადენის D=200 მმ-იანი, წყალარინების D=300 მმ-იანი და ორი D=200 მმ-იანი ქსელები (იხ. დანართი), რომელთა მიმართ დაცული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით დადგენილი მოთხოვნები.

გასათვალისწინებელია, რომ წყალსადენ-წყალარინების ქსელებთან დაკავშირებით მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N297/ნ ბრძანებით დამტკიცებული „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების“ დანართი 5-ის („წყალმომარაგების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების სანიტარული დაცვის ზონები. სანიტარული წესები და ნორმები. სანწდან 2.1.4. 000 – 00“), სამშენებლო ნორმების და წესების (სანდაწ 2.04.02-84) თანახმად, წყალსადენ-წყალარინების მილებთან მიმართებაში დადგენილია სანიტარული უსაფრთხოების ზოლი, რომლის არეალი აითვლება წყალსადენ-წყალარინების ქსელებიდან ორივე მხარეს: თუ მშრალი გრუნტია - არანაკლებ 10 მ-ისა, როცა წყალსადენ-წყალარინების ქსელების დიამეტრი 1000 მმ-მდეა და არანაკლებ 20 მ-ისა, როცა წყალსადენ-წყალარინების ქსელების დიამეტრი 1000 მმ-ზე მეტია, ხოლო გრუნტის წყლების არსებობისას, არანაკლებ 50 მ-ისა, მილის დიამეტრის მიუხედავად. ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე, სანიტარული დაცვის ზოლებში იკრძალება ნაგავსაყრელების, საასენიზაციო მინდვრების, სასაფლაოების, ცხოველთა სამარხების, ავტოგასამართი (ბენზინგასამართი) სადგურების მოწყობა და ფუნქციონირება. სანიტარული დაცვის ზოლებში, აგრეთვე, იკრძალება ნებისმიერი იმ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მოწყობა და ფუნქციონირება, რომელმაც შესაძლებელია გააუარესოს ნიადაგისა და გრუნტის წყლების სანიტარული მდგომარეობა.

რაც შეეხება სამშენებლო ნორმებით და წესებით (სნდაწ II-89-80; სნდაწ 2.07.01-89) დადგენილ რეგულაციებს, მანძილი (დაშორება) ჰორიზონტალურად ქსელებიდან ნებისმიერ შენობა-ნაგებობებამდე უნდა იყოს: წყალსადენის და წნევიანი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 5 მეტრი, ხოლო თვითდენითი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 3 მეტრი. შესაბამისად, მოცემულ არეალში, წყალსადენის ქსელიდან 5 მეტრამდე მანძილზე, ხოლო წყალარინების ქსელების შემთხვევაში, 3 მეტრ მანძილზე ნებისმიერი მშენებლობა დაუშვებელია.

წყალსადენ-წყალარინების ქსელის გარშემო ტერიტორია ითვლება გაზრდილი რისკის ზონად, ამიტომ ,,კომპანიას" აუცილებლად მიაჩნია წყალამრიდი ჯებირისა და სადრენაჟე არხის მოწყობა შენობა-ნაგებობებისათვის, რათა ქსელების დაზიანების შემთხვევაში თავიდან იქნას აცილებული შესაძლო ზარალის რისკი.

ამავე გარემოების გათვალისწინებით „კომპანია" გამორიცხავს მილსადენების ზონაში მრავალწლიანი ნარგავების დარგვას, ავტოსადგომების, სკვერების, ბავშვთა გასართობი მოედნების და კიდევ სხვა აქტიური საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობას.

თუ ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ არ იქნება დაცული ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები, ისინი სრულად აგებენ პასუხს ამგვარი მოთხოვნების დარღვევის შედეგად დამდგარ ზიანზე, ხოლო მიწისქვეშა ქსელებზე მომხდარი ავარიის/დაზიანების შემთხვევაში, მათთვის მიყენებულ ზარალზე (ზიანზე) "კომპანია" იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, "კომპანია" იტოვებს უფლებას, მიმართოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას მშენებლობის აკრძალვის/შეჩერების მოთხოვნით.

ამასთანავე, ,,კომპანია" გაცნობებთ, რომ თქვენ განცხადებაში მითითებულ მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია გადიოდეს, სხვა, მესამე პირთა კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ „კომპანია" ინფორმაციას არ ფლობს.

რაც შეეხება გენ. გეგმის შეთანხმებას, საჭიროა ,,კომპანიაში" წარმოადგინოთ გენ. გეგმა, სადაც განსაზღვრული და დაცული იქნება დაშორება საპროექტო ობიექტიდან წყალსადენ-წყალარინების ქსელებამდე.

დანართი: სიტუაციური ნახაზი - 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

ივანე გაბიტაშვილი

წყალსადენის ქსელების დირექტორის მოადგილე/
საოპერაციო ცენტრების დეპარტამენტის უფროსი

მ. ლოლაძე
293 11 11 (51 13)

"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"
სიტუაციური ნახაზი

IN24-0943284



1:1,700

Coordinate System: WGS 1984 UTM Zone 38N
Projection: Transverse Mercator

- ჭა კანალიზაცია
- წყალმომარაგების ჭა
- მილი კანალიზაცია
- წყალმომარაგების მილი
- წყამომარაგების გვირაბი

gwp

4/30/2024

GIS სამსახური: გ.გაბიტაშვილი